სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის

ბრძანება №76
2020 წლის 17 აპრილი

ქ. თბილისი

ახალი კორონავირუსი COVID 19-ის გავრცელებასთან დაკავშირებით საგანგებო მდგომარეობის მოქმედების განმავლობაში საავიაციო საქმიანობის ზედამხედველობის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ

„საქართველოს საჰაერო კოდექსის მე-9 მუხლის პირველი ნაწილის და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2011 წლის 14 აპრილის №1-1/583 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დებულების“ მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2020 წლის 4 ივნისის ბრძანება №96 - ვებგვერდი, 05.06.2020წ.

მუხლი 1

2021 წლის პირველ აპრილამდე სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს მიერ საავიაციო საქმიანობის მუდმივი ზედამხედველობის განხორციელება განხორციელდეს შემდეგი წესით:

1. 2021 წლის პირველ აპრილამდე არ განხორციელდეს:

ა) საზღვარგარეთ ბაზირებული ავიაკომპანიების, საბაზო ობიექტებისა და სხ-ის ინსპექტირება;

ბ) უფროსი პილოტ-ინსტრუქტორის შემოწმება;

გ) ავიაკომპანიის ეკიპაჟის მარშრუტზე შემოწმება;

დ) საავიაციო ტექნიკის ტექნიკური მომსახურების საწარმოს გარე სადგურის ადგილზე შემოწმება.

2. შესაბამისი ავიასპეციალისტის მოწმობის მოქმედების ვადის გაგრძელების მიზნით:

ა) საჰაერო ხომალდის ეკიპაჟის წევრი, თუ მას არ გააჩნია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად გაცემული სამედიცინო სერტიფიკატი, ვალდებულია სააგენტოში წარადგინოს უცხო ქვეყნის სერტიფიცირებული სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული და შესაბამისი საავიაციო უწყების მიერ დადასტურებული სამედიცინო სერტიფიკატი;

ბ) პილოტის საკვალიფიკაციო შემოწმება (LPC) შესაძლებელია ჩატარებულ იქნეს საჰაერო ხომალდზე (ნაცვლად საწაფისა, „ავიასპეციალისტთა სერტიფიცირების წესების დამტკიცების შესახებ“ სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2012 წლის 30 აგვისტოს № 150 ბრძანების მე-9 მუხლის მე-4 პუნქტის „ბ.ა.ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნის შესაბამისად) პილოტ-ინსტრუქტორის ოსტატობის კვალიფიკაციის მფლობელის მიერ.

3. 2021 წლის პირველ აპრილამდე საჰაერო ხომალდის ექსპლუატანტი გათავისუფლდეს „თვითმფრინავების საფრენოსნო ექსპლუატაციის დამტკიცების შესახებ“ სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2013 წლის 11 ოქტომბრის №203 ბრძანების 82-ე მუხლის მე-2 პუნქტის „მ“ ქვეპუნქტით და დანართი N21-ის მე-8 მუხლის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული პრაქტიკული მომზადებისაგან.

4. საზღვარგარეთ ბაზირებული სხ-ის ვარგისობის სერტიფიკატს, რომლის მოქმედების ვადა იწურება 2020 წლის პირველ აპრილამდე, მოქმედების ვადა გაუგრძელდეს 3 თვის ვადით, სხ-ის ექსპლუატანტის მიერ საფრენად ვარგისობის შენარჩუნების დამადასტურებელი დოკუმენტაციის და ტექნიკური პერსონალის მიერ ჩატარებული შემოწმების ანგარიშის საფუძველზე.

5. 2021 წლის პირველ აპრილამდე უცხო ქვეყნის მიერ გაცემული საავიაციო ტექნიკის ტექნიკური მომსახურების საწარმოს სერტიფიკატის (თუ სერტიფიკატი გაცემული არ არის EASA-ს ან EASA-ს წევრი ქვეყნის მიერ) აღიარება განხორციელდეს სერტიფიკატის გამცემი საავიაციო ხელისუფლებიდან მიღებული ზედამხედველობის ანგარიშის საფუძველზე.

6. საჰაერო ტრანსპორტით სახიფათო ტვირთის გადაზიდვისა და შემოწმების ოპერატორის სერტიფიკატს, რომლის მოქმედების ვადა იწურება 2021 წლის პირველ აპრილამდე, მოქმედების ვადა გაუგრძელდეს 3 თვის ვადით.

7. 2021 წლის პირველ აპრილამდე შეჩერდეს „საჰაერო ტრანსპორტით სახიფათო ტვირთის გადაზიდვის

წესის“ დამტკიცების შესახებ სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2013 წლის 27 დეკემბრის №263 ბრძანების მე-17 მუხლის მე-11 პუნქტის მოქმედება და ელექტრონული სწავლების მეთოდის გამოყენება დაშვებულ იქნეს იკაოს დოკ. 9284-ით („საჰაერო ტრანსპორტით სახიფათო ტვირთის უსაფრთხოდ გადაზიდვის ტექნიკური ინსტრუქციები“) გათვალისწინებული ნებისმიერი კატეგორიის პერსონალისათვის.

8. შეჩერდეს „საჰაერო გადაყვანა-გადაზიდვის მოწმობის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2017 წლის 16 ივნისის № 98 ბრძანების მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის მოქმედება 2021 წლის პირველ ივლისამდე.

9. ავიაგადამზიდველები, რომელთა ფრენები გაუქმდა ახალი COVID-19-ის გავრცელებასთან დაკავშირებით საქართველოს და შესაბამისი უცხო ქვეყნის (ქვეყნების) მიერ დაწესებული შეზღუდვების გამო, გათავისუფლდნენ სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2012 წლის 17 ივლისის №122 ბრძანებით დამტკიცებული „საჰაერო ხომალდში ჩასხდომაზე უარის თქმის, ფრენის გაუქმების ან ხანგრძლივი დაგვიანების შემთხვევაში მგზავრებისათვის კომპენსაციის გაცემისა და დახმარების აღმოჩენის წესის“ მე-7, მე-8 და მე-9 მუხლების მოთხოვნებისგან 2021 წლის პირველ იანვრამდე.

10. მგზავრს, რომლის ფრენაც გაუქმდა ამ მუხლის მე-9 პუნქტში მითითებული მიზეზით, უფლება აქვს შეცვალოს ბილეთში მითითებული მგზავრობის თარიღი მისი სურვილისამებრ, დამატებითი ანაზღაურების გარეშე, ან მოითხოვოს გამოუყენებელი ბილეთის საფასურის ანაზღაურება, 2021 წლის პირველი იანვრიდან.

11. შეჩერდეს „საჰაერო ხომალდის ექსპლუატანტის სერტიფიცირების წესის“ დამტკიცების შესახებ“ სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2013 წლის 19 აგვისტოს №142 ბრძანების მე-2 მუხლის მე-8 პუნქტის მოქმედება 2021 წლის პირველ აპრილამდე.

12. შეჩერდეს „საჰაერო ხომალდის ექსპლუატანტის სერტიფიცირების წესის“ დამტკიცების შესახებ“ სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2013 წლის 19 აგვისტოს №142 ბრძანების მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის მოქმედება 2021 წლის პირველ აპრილამდე.

13. 2021 წლის პირველ აპრილამდე სააგენტომ განახორციელოს საავიაციო ტექნიკის ტექნიკური მომსახურების საწარმოს გარე სადგურის დამატების შეთანხმება და ტექნიკური მომსახურების საწარმოს სერტიფიცირებისას გარე სადგურის შეფასება, კანონმდებლობით გათვალისწინებული დოკუმენტაციისა და საწარმოს მიერ ჩატარებული გარე სადგურის შეფასების ანგარიშის საფუძველზე. გარე სადგურის შეფასების ანგარიში უნდა შეესაბამებოდეს სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2013 წლის 27 დეკემბრის №262 ბრძანებით დამტკიცებული „საავიაციო ტექნიკის ტექნიკური მომსახურების საწარმოს სერტიფიცირების წესის“ მე-16 დანართის მოთხოვნებს.

14. 2021 წლის პირველ აპრილამდე შეჩერდეს ,,საქართველოს სამოქალაქო საჰაერო ხომალდების სახელმწიფო რეგისტრაციის წესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2013 წლის 11 ოქტომბრის №205 ბრძანების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის მოქმედება, თუ:

ა) რეგისტრაციის სახელმწიფოს მიერ ვერ ხერხდება კონკრეტული სხ-ის ფრენის ვარგისობის სერტიფიკატის და/ან ფრენის ვარგისობის საექსპორტო სერტიფიკატის გაცემა „ახალი კორონავირუსი COVID 19-ის გავრცელებასთან დაკავშირებით გამოწვეული შეზღუდვების გამო;

ბ) კონკრეტული საჰაერო ხომალდის დერეგისტრაცია განხორციელდა საქართველოს სამოქალაქო საჰაერო ხომალდების სახელმწიფო რეესტრიდან და აღნიშნულ საჰაერო ხომალდს არ დაუტოვებია საქართველოს ტერიტორია.

15. 2021 წლის პირველ აპრილამდე, „საქართველოს სამოქალაქო საჰაერო ხომალდების სახელმწიფო რეგისტრაციის წესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2013 წლის 11 ოქტომბრის №205 ბრძანებით გათვალისწინებული იდენტიფიცირება – იმ საჰაერო ხომალდის რეგისტრაციის მიზნით, რომელიც იმყოფება საქართველოს ტერიტორიის ფარგლებს გარეთ, განახორციელოს (უზრუნველყოს) განმცხადებელმა და სააგენტოს წარუდგინოს შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2020 წლის 18 მაისის ბრძანება №90 - ვებგვერდი, 22.05.2020წ.

სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2020 წლის 4 ივნისის ბრძანება №96 - ვებგვერდი, 05.06.2020წ.

სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2020 წლის 3 ივლისის ბრძანება №116 - ვებგვერდი, 06.07.2020წ.

სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2020 წლის 9 ივლისის ბრძანება №119 - ვებგვერდი, 10.07.2020წ.

სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2020 წლის 27 აგვისტოს ბრძანება №142 - ვებგვერდი, 31.08.2020წ.

მუხლი 2

ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

სსიპ - სამოქალაქო ავიაციის
სააგენტოს დირექტორი **ლევან კარანაძე**